ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა ლილუაშვილის მიერ

2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო შეხვედრის ჩატარების

ოქმი N2

საანგარიშო შეხვედრის ჩატარების დრო:
27 ოქტომბერი, 2023 წელი.
17:00 სთ.
შეხვედრის ადგილი: ქალაქი ქუთაისი,
ლ. ნუცუბიძის ქ. N1, ა(ა)იპ ქუთაისის ილია
ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **პაატა ლილუაშვილი.**

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია,** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე**, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე,** საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი**.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები: ბატონები: **აკაკი გიორგაძე** („ვაკისუბანის" ადმინისტრაციული ერთეული) და **შალვა ლომთაძე** („გუმათის" ადმინისტრაციული ერთეული).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები: საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ქალბატონი **ლია ჩახუნაშვილი**, საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი **მაკა ავალიანი**, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბატონი **ნიკოლოზ ჩიხლაძე**, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი, ქალბატონი **თეკლა ბრეგაძე**, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი, ქალბატონი **მარიამ ამბროლაძე**, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე, ქალბატონი **თეკლა გველესიანი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **პაატა ლილუაშვილმა** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 130-ე მუხლის შესაბამისად, საანგარიშო შეხვედრაზე, წარადგინა ანგარიში მის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშის წარდგენისას, მან ისაუბრა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქცია „ქართული ოცნების" საქმიანობისას შემუშავებულ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე; პირადი ინიციირების საფუძველზე განხორციელებულ,

უმნიშვნელოვანესი პროექტის მიმდინარეობაზე; ქალაქში შესრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **პაატა ლილუაშვილი:** „მოგესალმებით, საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობისა კოდექსის" თანახმად, საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე. ოთხი წლის ვადით არჩეული საკრებულოს უფლება-მოვალეობებში სხვა ბევრ საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ ვალდებულებასთან ერთად შედის ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე. ეს ვალდებულება, გარდა იმისა, რომ საკრებულოს წევრებს გვაკისრებს თანამდებობრივ პასუხისმგებლობას, ამომრჩეველს საშუალებას აძლევს ზედმიწევნით იყოს საქმის კურსში მის მიერ ნდობა მინიჭებული პირების მიერ, გაწეული სამუშაოსა და მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მოგეხსენებათ, მეშვიდე მოწვევის საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2021 წლის დეკემბრის თვიდან, საიდანაც იწყება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლება-მოვალეობების შესრულების ათვლა. პარალელურად გახლავართ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიების წევრი, შესაბამისად, აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს ზემოხსენებული კომისიების საქმიანობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 10 რიგითი და 5 რიგგარეშე სხდომა. მათი მომზადებისა და ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჯაროობის პრინციპების დაცვას, ყველა სხდომის მოწვევისა და მათი დღის წესრიგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო დაფაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე, ტელე-რადიო კომპანია „რიონისა" და ფეისბუქის ოფიციალური გვერდის მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 23 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 61 საკითხი. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და არცერთი ჩაშლილი და გადადებული.

კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავა და საკრებულოს წარუდგინა სამართლებრივი აქტების პროექტები, ასევე, მოსაზრებები და დასკვნები სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით. კომისია, უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურადაა ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. აქტუალურ საკითხების გათვალისწინებით მის მიერ შემუშავდა 17 რეკომენდაცია.

ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 24 საკითხი. ყველა ჩატარებული სხდომა იყო საჯარო და არცერთი ჩაშლილი ან გადადებული.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2023 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი.

მიმდინარე წლის ივლის-სექტემბერში კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია 2023-2024 წლების სტრატეგიის პროექტის განხილვა-დამუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც USAID-ის მხარდაჭერით მომზადდა. ამჟამად მომზადებულია დოკუმენტის ბოლო ვარიანტი, რომელიც დამტკიცდება კომისიის სხდომაზე.

კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი საბიუჯეტო ინიციატივები.

საკრებულოს მიერ სერიოზული სამუშაოები ჩატარდა გზებისა და ტროტუარების, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის, ფასადების რეაბილიტაციის, სკვერების კეთილმოწყობის, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შეძენის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, ეზოების კეთილმოწყობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის.

პირადად ჩემი ინიციირების საფუძველზე დასრულდა და მიმდინარეობს სამი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ ქუთაისის ყოფილი ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის თავიდან აშენების და მისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვის პროექტი. შენობა მშენებლობის პროცესშია და უკვე შთამბეჭდავი არქიტექტურით იპყრობს ყურადღებას. შენობის აღდგენამ მოგვცა პრეცედენტი რომლის მიხედვითაც ნარჩუნდება ნაგებობის პირვანდელი იერსახე, მაგრამ, მასში განთავსდება თანამედროვედ აღჭურვილი მულტიფუნქციური საგამოფენო ცენტრი. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ეს არის პრინციპი, რომლითაც უნდა მოხდეს ქუთაისის, როგორც ძველი ქალაქის იერსახის არქიტექტურული განვითარება.

მეორე, უკვე დასრულებული პროექტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც DMO იმერეთის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორისათვის და ვინაიდან იგი ხელს უწყობს ქუთაისის ტურისტული სერვისისა და პოტენციალის დახვეწა - განვითარებას. მდინარე რიონზე, საჯომარდო მონაკვეთში, ჯომარდობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით აიგო და მოეწყო სასტარტო და საფინიშო შენობები, რაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხია სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმის ქართველი და უცხოელი მოყვარულებისათვის.

მესამე პროექტის მიხედვით კუპრაძის ქუჩაზე, სასამართლოს შენობის უკან, ყველანაირი სტანდარტისა და ნორმის გათვალისწინებით მოეწყო ალპინისტური კედელი, რომლითაც უკვე სარგებლობენ ქუთაისელი ახალგაზრდები.

აღნიშნული პროექტების პარალელურად დაწყებულია ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის (რომლის საერთო ფართი 8 ჰექტარს აღემატება) რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის პროექტზე მუშაობა, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი თანაქალაქელებისათვის საყვარელი პარკი თანამედროვე სტანდარტების მქონე გართობისა და დასვენების ადგილად ვაქციოთ. ასევე, რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, ვინაიდან იგი ქალაქის მნიშვნელოვან კულტურულ ძეგლს წარმოადგენს. უნდა მოხდეს ქუთაისის წითელი ხიდის რეაბილიტაცია, რომელიც თავის მდებარეობით საინტერესო და პოპულარული ტურისტულ ლოკაციაა.

აქვე უნდა აღვნიშნო მომავალი წლისთვის გაცემული ინიციატივები, რომლის მიხედვითაც, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის მგზავრთა გადაყვანის მიზნით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნა და ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის არსებული ტერიტორიის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის გზაზე განათებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის, ბორდიურებისა და გვერდულების მოწესრიგება.

ჩემთვის, როგორც ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის ძირითად პრიორიტეტებს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის ხელშეწყობა წარმოადგენს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პრობლემატური საკითხების წამოჭრა, მათი მოგვარების გზების ძიება საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, განვითარებისაკენ მიმართული

პროექტების ინიციირება და რაც მთავარია ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა ჩემი ამომრჩევლისა და ქალაქის წინაშე.“

შეხვედრის დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონი პაატა ლილუაშვილის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. მადლობა გადაუხადეს ნაყოფიერი საქმიანობისათვის და უსურვეს წარმატებები.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბატონი პაატა ლილუაშვილის მიერ ანგარიშის წარდგენის მიზნით, გამართული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

პაატა ლილუაშვილი

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი:

საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული

განყოფილების უფროსი

ნინო კაკაბაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა ლილუაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ

საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობისა კოდექსის" თანახმად, საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე. ოთხი წლის ვადით არჩეული საკრებულოს უფლება-მოვალეობებში სხვა ბევრ საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ ვალდებულებასთან ერთად შედის ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე. ეს ვალდებულება, გარდა იმისა, რომ საკრებულოს წევრებს გვაკისრებს თანამდებობრივ პასუხისმგებლობას, ამომრჩეველს საშუალებას აძლევს ზედმიწევნით იყოს საქმის კურსში მის მიერ ნდობამინიჭებული პირების მიერ გაწეული სამუშაოსა და მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მოგეხსენებათ, მეშვიდე მოწვევის საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2021 წლის დეკემბრის თვიდან, საიდანაც იწყება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლება-მოვალეობების შესრულების ათვლა. პარალელურად გახლავართ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიების წევრი, შესაბამისად, აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს ზემოხსენებული კომისიების საქმიანობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 10 რიგითი და 5 რიგგარეშე სხდომა. მათი მომზადებისა და ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჯაროობის პრინციპების დაცვას, ყველა სხდომის მოწვევისა და მათი დღის წესრიგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო დაფაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდზე, ტელე-რადიო კომპანია „რიონისა" და ფეისბუქის ოფიციალური გვერდის მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 23 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 61 საკითხი. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და არცერთი ჩაშლილი და გადადებული.

კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავა და საკრებულოს წარუდგინა სამართლებრივი აქტების პროექტები, ასევე, მოსაზრებები და დასკვნები სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით. კომისია, უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურადაა

ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. აქტუალურ საკითხების გათვალისწინებით მის მიერ შემუშავდა 17 რეკომენდაცია.

ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 24 საკითხი. ყველა ჩატარებული სხდომა იყო საჯარო და არცერთი ჩაშლილი ან გადადებული.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2023 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი.

მიმდინარე წლის ივლის-სექტემბერში კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია 2023-2024 წლების სტრატეგიის პროექტის განხილვა-დამუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც USAID-ის მხარდაჭერით მომზადდა. ამჟამად მომზადებულია დოკუმენტის ბოლო ვარიანტი, რომელიც დამტკიცდება კომისიის სხდომაზე.

კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი საბიუჯეტო ინიციატივები.

საკრებულოს მიერ სერიოზული სამუშაოები ჩატარდა გზებისა და ტროტუარების, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის, ფასადების რეაბილიტაციის, სკვერების კეთილმოწყობის, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შეძენის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, ეზოების კეთილმოწყობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის.

პირადად ჩემი ინიციირების საფუძველზე დასრულდა და მიმდინარეობს სამი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ ქუთაისის ყოფილი ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის თავიდან აშენების და მისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვის პროექტი. შენობა მშენებლობის პროცესშია და უკვე შთამბეჭდავი არქიტექტურით იპყრობს ყურადღებას. შენობის აღდგენამ მოგვცა პრეცედენტი რომლის მიხედვითაც ნარჩუნდება ნაგებობის პირვანდელი იერსახე, მაგრამ, მასში განთავსდება თანამედროვედ აღჭურვილი მულტიფუნქციური საგამოფენო ცენტრი. არაერთხელ აღვნიშნე, რომ ეს არის პრინციპი, რომლითაც უნდა მოხდეს ქუთაისის, როგორც ძველი ქალაქის იერსახის არქიტექტურული განვითარება.

მეორე, უკვე დასრულებული პროექტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც DMO იმერეთის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორისათვის და ვინაიდან იგი ხელს უწყობს ქუთაისის ტურისტული სერვისისა და პოტენციალის დახვეწა - განვითარებას. მდინარე

რიონზე, საჯომარდო მონაკვეთში, ჯომარდობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით აიგო და მოეწყო სასტარტო და საფინიშო შენობები, რაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხია სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმის ქართველი და უცხოელი მოყვარულებისათვის.

მესამე პროექტის მიხედვით კუპრაძის ქუჩაზე, სასამართლოს შენობის უკან, ყველანაირი სტანდარტისა და ნორმის გათვალისწინებით მოეწყო ალპინისტური კედელი, რომლითაც უკვე სარგებლობენ ქუთაისელი ახალგაზრდები.

აღნიშნული პროექტების პარალელურად დაწყებულია ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის (რომლის საერთო ფართი 8 ჰექტარს აღემატება) რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის პროექტზე მუშაობა, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩვენი თანაქალაქელებისათვის საყვარელი პარკი თანამედროვე სტანდარტების მქონე გართობისა და დასვენების ადგილად ვაქციოთ. ასევე, რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, ვინაიდან იგი ქალაქის მნიშვნელოვან კულტურულ ძეგლს წარმოადგენს. უნდა მოხდეს ქუთაისის წითელი ხიდის რეაბილიტაცია, რომელიც თავის მდებარეობით საინტერესო და პოპულარული ტურისტულ ლოკაციაა.

აქვე უნდა აღვნიშნო მომავალი წლისთვის გაცემული ინიციატივები, რომლის მიხედვითაც, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის მგზავრთა გადაყვანის მიზნით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნა და ქუთაისსა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის არსებული ტერიტორიის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის გზაზე განათებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის, ბორდიურებისა და გვერდულების მოწესრიგება.

ჩემთვის, როგორც ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის ძირითად პრიორიტეტებს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის ხელშეწყობა წარმოადგენს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პრობლემატური საკითხების წამოჭრა, მათი მოგვარების გზების ძიება საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, განვითარებისაკენ მიმართული პროექტების ინიციირება და რაც მთავარია ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა ჩემი ამომრჩევლისა და ქალაქის წინაშე.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

პაატა ლილუაშვილი